

რელიგიური პლურალიზმი, ექსტრემიზმი და დემოკრატია:

მონიტორინგი და დებატები

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

Caucasus Institute for Peace, Democracy and Development



თბილისი წერეთლის გამზირი # 72

ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37

ელ-ფოსტა : [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org)

ივნისი-დეკემბერი 2016 წ.

Newsletter N. 1

## მოხეს მეჩეთი

14.10.2016

სამხრეთისკარიბჭე sknews.ge

მოხის კონფლიქტიდან 2 წლის შემდეგ მოხელმა მუსლიმებმა სადავო შენობაში ლოცვა დაიწყეს. საკითხი ისევ არ არის გადაჭრილი. სამცხე-ჯავახეთის მუფთი და მოხის საკითხის შემსწავლელი კომისიის წევრი მამუკა ვაშაყმაძის განცხადება ამ საკითხზე: „მათ ვუთხარი, რომ იქნებ დროულად გადაწყდეს შენობის ბედი და მოსახლეობამ თავისუფლად შეძლოს ლოცვა-მეთქი. ჩვენ არაფერზე შევთანხმებულვართ, რადგან მოსახლეობა მშვიდობიანად ატარებდა ლოცვებს. მუსლიმი მოსახლეობა კომისიას არ ენდობა, იმიტომ, რომ ორი წლის განმავლობაში შედეგი ვერ მიიღეს. ამიტომ თვითნებურად დაიწყეს ლოცვა“.

<http://sknews.ge/index.php?newsid=1>

0445

## მოხეს მეჩეთი

15.10.2016

Batumelebi.netgazeti.ge

სამცხე-ჯავახეთის მუფთი და მოხის საკითხის კომისიის წევრი მამუკა ვაშაყმაძე : „ბოლოს რამდენიმე თვის წინ შევიკრებით და მაშინ თქვეს, არჩევნებამ დემუშაობა შევწყვიტოთ და არჩევნების შემდეგ განვაახლოთო, თუმცა ოფიციალურად რაიმე დოკუმენტი კომისიას არ მიუღია. სიტყვიერად, კომისიის ყველა წევრი ამბობს, რომ შენობა მეჩეთს წარმოადგენს, მაგრამ ვფიქრობ მართლმადიდებელ ეკლესიას უწევდნენ ანგარიშს“ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე : სახელმწიფოს სისუსტეა იმ თვალსაზრისით, რომ ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად ატყუეს ეს ადამიანები და ჰქონდათ დროის გაყვანის მცდელობა. რელიგიის სააგენტოს დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ, ცალკე პრობლემაა, რადგან სააგენტოს ხელმძღვანელს, ზაზა ვაშაყმაძეს დაძაბულობისკენ მიჰყავს სიტუაცია. მისი ქმედება არასახელმწიფოებრივია რელიგიური უმცირესობების მიმართ და დროა პრემიერმა იფიქროს ამ სააგენტოს გაუქმებაზე“.

<http://batumelebi.netgazeti.ge/news/58988/#sthash.Jsb1PITq.5FIOMI9g.dpbs>

## მოხეს მეჩეთი

15.10.2016

სამხრეთის კარიბჭე sknews.ge

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე მოხეში მიმდინარე მოვლენების შესახებ: „ორი წლის წინ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის მეთაურობით შეიქმნა ფსევდო კომისია, რომელიც თითქოს გაარკვევდა სოფელ მოხეში არსებული შენობის წარმომავლობას, რაც აშკარა თვალში ნაცრის შეყრას ნიშნავდა. სამწუხაროა, რომ ამ კომისიაში შევიდა მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელობა, რომელმაც ლეგიტიმაცია შესძინა ამ უმოქმედობას“

„მოუწოდებ ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას გონივრულად მიუდგნენ საკითხს და სამართლებრივ ჭრილში მაქსიმალურად დაიცვან თავიანთი კონსტიტუციური უფლებები. საქართველოში ლოცვის უფლება აქვს ყველას და ამ უფლებაზე ეუარის თქმა დაუშვებელია“.

<http://sknews.ge/index.php?newsid=10451>

## მოხეს მეჩეთი

3.11.2015

სამხრეთის კარიბჭე SKNEWS.GE

2016 წლის 3 ნოემბერს მოხის სადავო შენობის ირგვლივ შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით შენობა არ გადაეცემა არც მართლმადიდებელ და არც მუსლიმებს. მუსლიმებს შესთავაზეს 2 ალტერნატიული ვარიანტი ან ახალი მეჩეთის მშენებლობა მოხეში ან იმ სახლის გამოსყიდვაც სადაც აქამდე ლოცულობდნენ. აღნიშნული კომისიის წევრი და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ: „წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, რადგან მუსლიმებისთვის გადაწყვეტილება უცნობია. მოგვიწევს დისკუსია და გადაწყვეტილებას მივიღებთ მუსლიმ თემთან ერთად. მაგრამ, მუსლიმი თემი არის გონიერი, დაფიქრდება და მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც დემოკრატიული ქვეყნისთვის იქნება აღსანიშნავიმ თელს მსოფლიოში“

<http://sknews.ge/index.php?newsid=10603>

## მოხეს მეჩეთი

3.11.2016

LIBERALI.GE

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავჯდომარე ტარიელ ნაკაიძე მოხის საკითხის შემსწავლელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ: „ხელისუფლებამ არ გადადგა სწორი ნაბიჯი. ეს დისკრიმინაციული მიდგომაა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მათ უფლება აქვთ, ილოცონ ისტორიულ მეჩეთში, თავისუფალ გარემოში. არ მქონდა მოლოდინი, რომ კომისია ადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებდა. იმედია ამ გადაწყვეტილებას გადახედავენ და საკითხს გონივრულად მიუდგებიან“

<http://liberali.ge/news/view/25706/tariel-nakaidze-mokhis-komisiis-gadatsyvetilebaze-sakhelmtsifo-dadzabulobis-keras-qmnis>

## მოხეს მეჩეთი

4.11.2016

NETGAZETI.GE

ჭელის მეჩეთის იმამი ჯამბულ აბულაძე მოხის საკითხის შემსწავლელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცხადებს, რომ “მოხის „კომისიამ“ გადაწყვეტილება კი არა, ფაქტიურა დსასამართლო განჩინება გამოიტანა. ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტების გარეშე უარი უთხრეს მუსლიმ მრევლს, რაც ცალსახად „მოდა ვემხარის“ პოზიციას გამოხატავს. შემამოფოთებელია სამუფთოს მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც ბუნდოვანი და გაუგებარია. სამუფთო სამმართველოს წარმომადგენლებზე მიმდინარეობს სფსიკოლოგიური ზეწოლა, რაც ყოვლად დაუშვებელია. მათ უნდა მიეცეთ თავისუფლად მუშაობის საშუალება. ხოლო კომისიის წევრების ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ნათლად მიანიშნებს ამ კომისიის არაეფექტურობაზე. თუ სახელმწიფო არგუმენტირებულად ვერ დაადასტურებს, რატომ არ უნდა გადაეცეს მუსლიმ მრევლს აღნიშნული შენობა, მაშინ ეს იქნება მუსლიმების მისამართით მიზანმიმართული დისკრიმინაცია, რაც, ბუნებრივია, წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიულ პრინციპებთან. მივესალმები სამლოცველოსათვის ფართისგა მოყოფას, ოღონდ მას შემდეგ, როცა არგუმენტირებულად უარი ეთქმებათ მუსლიმ თემს აღნიშნულ შენობაზე. იმედს გამოვთქვამ, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე წინდახედული გონიერი ადამიანები გამოსწორებენ მომხდარ „გაუგებრობას“ და სამართლიანად მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას“

<http://netgazeti.ge/news/152478/>

## მოხეს მეჩეთი

12.11.2016

INTERpressnews.ge

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავჯდომარე ტარიელ ნაკაიძე მოხის საკითხის შემსწავლელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ: „ხელისუფლებამ უნდა მიიღოს დაუყოვნებელი გადაწყვეტილება და არსებული შენობა გადაეცეს მუსლიმებს, ეს იქნება საქართველოს განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ასევე პრევენცია, სხვა მსგავსი პრობლემების მოგვარებისთვის. თუ საკითხი დროულად არ გადაწყდება, ხელშემწყობი შეიძლება აღმოჩნდეს და სხვა მსგავსი სახის პრობლემები წარმოიქმნას“

<http://www.interpressnews.ge/geo/sazogadoeba/406179-tariel-nakaidze-khelisuflebam-unda-miighos-gadatsyvetileba-da-mechethi-gadaeces-muslimebs.html?ar=A>

## მოხეს მეჩეთი

14.12.2016

netgazeti.ge

შეიხი რამინ იგიდოვი მოხის საკითხთან დაკავშირებით: “მე, სამწუხაროდ, არ ვარ კომისიის წევრი და არმეხება ეს, მაგრამ, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვალდებული ვარ, პასუხი გაგცეთ. სახელმწიფო უნდა ეცადოს დაადგინოს და ადამიანებს დაუბრუნოს ის, რაც ეკუთვნის. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო ისე მოაგვარებს ამ საკითხს, არცერთი მხარე არ დარჩება უკმაყოფილო. კომპეტენტურმა ადამიანებმა ამ ძეგლის წარმომავლობა უნდა გამოიკვლიონ, დადონ დასკვნა, რომელსაც ყველა დაემორჩილება. ჩემი პოზიცია თუ გაინტერესებთ, ეს ნაგებობა მეჩეთია”

<http://netgazeti.ge/news/161683/>

## მოხეს მეჩეთი

27.12.2016

სამხრეთის კარიბჭე sknews.ge

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარის ტარიელ ნაკაიძის განაცხადის სადავო შენობის საკითხის, სკოლაში ჰიჯაბის ტარების შეზღუდვის და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსლიმების პრობლემების შესახებ :

”რამდენიმე დღეა ვაკვირდებით ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში მომხდარ მოვლენებს და ვწუხვართ, რომ დღემდე ვერ მოხერხდა არსებული პრობლემის აღმოფხვრა. ჩვენი აზრით პრობლემა უფრო ღრმა და კომპლექსურია ვიდრე სკოლის მოსწავლეების გაფიცვა ან სოფელ მოხის საჯარო სკოლის დირექტორის სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენა. ვფიქრობთ რეგიონში ხელისუფლების არაეფექტურმა პოლიტიკამ, რომელიც კონკრეტულად მუსლიმებისა და ქრისტიანების შორის დაპირისპირების გაღვივებას ემსახურება, ხელი შეუწყო კონფლიქტების წახალისებას და ყველასთვის ნათელი ხდება, რომ მოხეში სიტუაცია უკიდურესად იძაბება. სოფელ ფლატეში, ქრისტიანი სასულიერო პირების მიერ მეჩეთის დანგრევის ფაქტი (2007 წ), ჭელის მინარეთის მოჭრის ფაქტი (2013წ), მოხის მეჩეთის დანგრევის მოწინააღმდეგე მშვიდობიანი მოსახლეობის პოლიციის მიერ უსასტიკესად ცემის ფაქტები (2014წ), სოფელ ადიგენში სასაფლაოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები (2015), ჯერ კიდევ გამოუძიებელია, რითაც წახალისებულ იქნა დაუსჯელობის განცდა და მუსლიმების მარგინალიზება. ამ საკითხების მოგვარების ნაცვლად, „მოხის კომისიის“ შექმნით დაკავებული რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანტისახელმწიფოებრივი და არადემოკრატიული, უფრო მეტიც დისკრიმინაციული ქმედებების არასათანადოდ შეფასებებმა და რეაგირებმა გაზარდა მუსლიმთაში გაუცხოების და მეორე ხარისხოვნების განცდა. ქართველი მუსლიმების სახელით მინდა მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტი სმრჩვეულს ეთნიკური და რელიგიური იუმცირესობის საკითხებში სოფიო შამანიდს, რომელიც ადგილზე გაცნო შექმნილ ვითარებას და შეხვდა მოხის საჯარო სკოლის მოსწავლეებს. იმედს გამოვთქვამ, რომ ამ ნაბიჯს პოზიტიური შედეგები მოყვება. იმედს ვიტოვებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაინტერესდება დირექტორის კომპეტენტურობით და რელიგიური მოტივით მომხდარი სხვა დისკრიმინაციული ქმედებების მსგავსად, არ მოხდება ამ შემთხვევის დავიწყება სათანადო რეაგირების გარეშე. ვფიქრობთ რეგიონში პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელია განთავისუფლდეს მოხის საჯარო სკოლის დირექტორი თანამდებობიდან, დაუბრუნდეს სოფელ მოხეში არსებული მეჩეთი მუსლიმებს, გამოძიებული იქნას აქამდე მომხდარი ფაქტები და მიეცეს სამართლიანი სამართლებრივი შეფასება. ვფიქრობთ ეს იქნება ერთგვარი პრევენცია, შესაძლო დამატებლობისა და შემდგომში მოსალოდნელი რადიკალიზაციის აღმოსაფხვრელად. აქვე მუსლიმებს მოვუწოდებ განაგრძონ მათთვის დამახასიათებელი სიმშვიდით, შეუპოვრობით დაგ ამძლეობით ბრძოლა თავიანთი კონსტიტუციით გარანტირებულ იფლებების რეალიზებისათვის და ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგეებისგან განსხვავებით, ისარებლონ იმ ფარგლებით, რომელსაც მათ კანონი უწესებს“

<http://sknews.ge/index.php?newsid=11176>

## რელიგიის სახელმწიფო სააგენტო

12.12.2016

interpressnews.ge

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შესახებ აღნიშნავს, რომ „მუსლიმ თემში განწყობა არის ძალიან დამამცირებელი. არსებობს შეგრძნება იმისა, რომ მეორე ხარისხოვანი მოქალაქეები ვართ. ამ თვალსაზრისით, სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქვეყანაში რელიგიი სსაკითხთა სააგენტო. მიუხედავად იმისა, რომ ეს სააგენტო შეიქმნა, ის უნდა იყოს რეკომენდატორი სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. თუმცა მოგვევლინა, როგორც მაკონტროლებელი ორგანიზაცია, არა როგორც სამართლიანი ანუ სამართლ მაკონტროლებელი, არამედ როგორც უშუალო მონაწილე და მხარე პრობლემების დროს. ეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში“

## ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი ბათუმში

5.07.2016

interpressnews.ge

ბათუმელმა მუსლიმებმა რამაზან ბაირამის ლოცვა ღია ცის ქვეშ წვიმაში შეასრულეს, ლოცვას უძღვებოდა დასავლეთ საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე, რომელმაც განაცხადა: „მივულოცავ მსოფლიოში მცხოვრებ ყველა მუსლიმს და ასევე საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს დღევანდელ დღეს, მარხვის დასრულების დღესასწაულს - ბაირამს, რომელიც არის ურთიერთ სიყვარულის, ურთიერთ თანადგომის დღესასწაული. დღეს არის ყველა ჩვენთაგანის განწმენდის დღე. იმედი მაქვს ჩვენ ყოველთვის ვიცხოვრებთ ისეთ მშვიდ გარემოში, რომელიც იქნება წარმატებული მომავალში ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი სამშობლოსთვის. იმედი მაქვს, უახლოეს დროში, როგორც ბატონმა არჩილმა აღნიშნა ( იგულისხმება არჩილ ხაბაძე - აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ), მეჩეთის შესახებ გადაწყვეტილებაც იქნება დადებითად მიღებული, რომელიც საზოგადოებას ხელს შეუწყობს, ნორმალურ გარემოში ილოცოს“

<http://www.interpressnews.ge/ge/regioni/387170-bathumshi-mckhovrebma-muslimbma-ramazan-bairamis-locva-ghia-cis-qvesh-tsvimashi-sheasrules.html?ar=A>

## ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი ბათუმში

8.09.2016

liberali.ge

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა მეჩეთის მშენებლობისთვის ნაკვეთი შეიძინა. ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე არსებული საკითხის შესახებ: „აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მუსლიმი თემი ასევე დღის წესრიგში ტოვებს 12000 მუსლიმის ხელწერით მოთხოვნას, სახელმწიფოს მიერ მიწის გადმოცემის თაობაზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში მუსლიმი თემის მიმართ რელიგიის თავისუფლები სმეზღუდვისა და ძალადობის არაერთი შემთხვევა (ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო, ჭელა, ქობულეთი, მოხე, ადიგენი, ციხისძირი) დაფიქსირდა. ამრიგად მუსლიმი თემისთვის ბათუმში ახალი მეჩეთის საჭიროების უფლებებელყოფა სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებულად მწვავედ აღიქმება. შესაბამისად, მიმდინარე პროცესის შემობრუნება მუსლიმი თემის საჭიროებებისა და უფლებების გათვალისწინებით და ახალი მეჩეთის მშენებლობის ისისტორიული საკითხის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, არსებითად შეცვლის ქართველი მუსლიმების თვით აღქმას დასახელმწიფო პოლიტიკის დინამიკას რელიგიური უმცირესობების მიმართ. ქართველი მუსლიმი თემი ქართული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და მიგვაჩნია, რომ ახალი მეჩეთის მშენებლობა სეკულარული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება“

## ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხი ბათუმში

21.12.2016

factcheck.ge

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხისადმი: „ახალი მეჩეთი კიდევ ერთი საკულტო ნაგებობა არ არის, მას ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არ უნდა დაუშვათ პრეცედენტი, რომ პოზიცია დავთმოთ. ვიმუშავებთ, რომ დისკრიმინაციული მიდგომა აღმოვფხვრათ არამხოლოდ მუსლიმი, არამედ ყველა რელიგიის მიმართ“

<http://factcheck.ge/article/batumshi-akhali-mechetis-ashenebis-sakithkhze-khelisuphlebis-pozitsia-isev-gaurkvevelia/>

## ადამიანის უფლებები

7.11.12

sapari.ge ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია

აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი იასინ ალიევი გოგონების წინდაცვეთასთან დაკავშირებით ავარიელებით დასახლებულ ყვარლის 3 სოფელში: „ზოგიერთ ქვეყანაში ამას საკუთარ ეროვნულ ტრადიციებთან შესაბამისად აკეთებენ, მხოლოდ არაისლამური კანონების მიხედვით... შესაძლოა, ქალის გენიტალიების დასახიჩრება ადგილობრივი ავარიელების ლოკალური ადათია, რასაც საერთო არაფერი აქვს საქართველოში მკვიდრი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი მუსლიმების ტრადიციებთან. გოგონების წინდაცვეთა ავარიელების ეროვნული ადათია, და ეს სულ სხვა საქმეა“

<http://sapari.ge/archives/1090>

## ადამიანის უფლებები

9.11.2016

For.ge

დასავლეთ საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე გოგონების წინდაცვეთასთან დაკავშირებით საქართველოში: „ეს არის ერთ-ერთი ტრადიცია, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ისლამის გავრცელებამდე იყო, მაგრამ საქართველოში რომ მსგავსი რამ ხდებოდა, პირველად გავიგე. საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ქალბატონების წინდაცვეთა. ვფიქრობ, რომ ეს არის ანტიისლამური პროვოკაცია. არ ვიცი რა ვუწოდო ამას, რატომ დაიწყო დღეს ამაზე საუბარი და რატომ გახდა საჭირო, რომ ამაზე აჟიოტაჟი ატეხილიყო. როგორც გითხარით, ასეთი ტრადიცია საქართველოში არ ყოფილა, დღეს რატომ გამოჩნდა არ ვიცი“

[http://www.for.ge/view.php?for\\_id=46943&bloger\\_id=22&cat=12](http://www.for.ge/view.php?for_id=46943&bloger_id=22&cat=12)

## ადამიანის უფლებები

11.12.2016

IPRESS.Ge

ადმოსავლეთ საქართველოს მუფთი იასინ ალიევი გოგონების წინდაცვეთის ისლამთან კავშირის შესახებ: “რაც შეეხება ამრიტუალის ისლამთან რაიმე კავშირს, მოგახსენებთ, რომ ისლამის ძირითადი საყრდენი წყარო არის ყურანი, შარიათი და ჰადისები. დამერწმუნეთ, რომ ამ სამივე წმინდა კანონიკურ წერილებში ვერსად ვერ ნახავთ მსგავს მოწოდებებს, აქედან გამომდინარე თამამად შემიძლია გაგიცხადოთ, რომ ამ რიტუალს რაიმე კავშირი არ აქვს ისლამთან.”

<http://www.ipress.ge/new/54121-iasin-alievi-gogobis-tsinadacveta-tsarmartuli-tradiciaa-da-kavshiri-ar-aqvs-islamtan>

## ადამიანის უფლებები

27.12.2016

The Tbilisi TIMES

ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე ტარიელ ნაკაიძე ინტერვიუში აცხადებს: „მუსლიმი თემის წინაშე ჩადენილი რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები სათანადოდ არ არის გამოძიებული, რაც დაუცველობის განცდას ქმნის თემში. მოგახსენებთ, მუსლიმების წინაშე ჩადენილი დანაშაულების არასწორად კვალიფიცირება (რელიგიის მოტივისგან დაცლა) და გამოძიების გაჭიანურება ახალისებს რელიგიურ სიძულვილს და ამ მოტივით ჩადენილ ქმედებებს.

მუსლიმ მოსწავლეებს პრობლემები ექმნებათ სკოლაში, ისინი ხდებიან ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის მსხვერპლნი ბალებშიც. მუსლიმებს პრობლემები ექმნება საზღვრის კვეთისას, რელიგიური ლიტერატურის შემოტანისას, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი საკანონმდებლო შეზღუდვა არ არსებობს. თავსაფრიანი ქალები არიან არაპირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლნი სამუშაო ადგილას და ქუჩაშიც კი, შესაბამისად, მათ ჩამოუყალიბდათ სკეპტიკური განცდა დასაქმებასთან დაკავშირებით. აჭარაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, საჯარო სამსახურში მუსლიმებს არ ჰყავთ თავიანთი ინტერესების დამცველები და ლობისტები.

“<http://www.ttimes.ge/archives/74231#ViewPollResults>”



02.12.2016

პანკისის სათემო რადიო radioway.ge

პანკისში, სოფლის გამგებლად პირველად დაინიშნა ქალი თამარ მარგოშვილი. სოფელ დიუისის ტრადიციული მეჭეთის იმამი ომარ ალდამოვი ამ საკითხზე : „როგორც მუსლიმი კაცი, როგორ იმამი, მიმაჩნია, რომ ქალი უნდა იჯდეს ოჯახში. ოჯახს უნდა მიხედოს, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ არის, მშნიშვნელობა არ აქვს ქალი იქნება თუ კაცი იქნება, ოღონდ თავისი საქმე უნდა ესმოდეს“

<http://radioway.ge/en/news/people/item/217-qalebi-politikashi-pankisis-xeobashi>

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი კონტაქტი: თბილისი

წერეთლის გამზირი # 72

ტელ: +995 32 235 51 54 / 235 77 37

ელ-ფოსტა : info@cipdd.org



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

პროექტი ხორციელდება დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის(NED) მხარდაჭერით